



5 აგვისტო, 2016

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს,  
აზიის განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს,  
ევროპის საინვესტიციო ბანკის დირექტორთა საბჭოს,  
გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო  
ბანკის (KfW) დირექტორთა საბჭოს  
პოლიტიკური გაერთიანება  
„პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“

## მ ი მ ა რ თ ვ ა

ჩვენ, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანება „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“:

ვაცნობიერებთ რა, ენერგოსექტორის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და ენერგეტიკული საჭიროებების შეფასების აუცილებლობას;

ვაცხადებთ, რომ ნებისმიერი ენერგო-პროექტის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სტრატეგიული დაგეგმვისა და საჭიროებების დადგენის შედეგად, რომელიც ესადაგება ქვეყნის გაცხადებულ ეკონომიკურ პრიორიტეტებს;



მიგვაჩნია, რომ მიუღებელია ბოლო წლებში დამკვიდრებული ენერგო-პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პრაქტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების (წყალი, ქვანახშირი) მაქსიმალური ათვისება, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხების იგნორირებით;

მხედველობაში ვიღებთ რა, იმ გარემოებას, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას; ასევე, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით ყველაზე მისაღები ალტერნატივის განხილვისა და პროექტთან დაკავშირებული სხვა რისკების შეფასების შესაძლებლობას;

ჩვენ, პოლიტიკური გაერთიანება „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“, მოგიწოდებთ, მოახდინოთ საქართველოში მიმდინარე ენერგოპროექტების, მათ შორის, ზემო სვანეთში ნენსკრა ჰესისა და ხუდონჰესის, ზემო აჭარაში შუახევი ჰესის, ცაგერსა და ლეჩხუმში ნამახვანჰესის, ყაზბეგის რაიონში 500კვ-იანი ქსანი-სტეფანწმინდას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისა და სხვა დაგეგმილი ენერგო-პროექტების განხილვა-დამტკიცების პროცესის გამჭვირვალების უზრუნველყოფა და მოთხოვით საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს:

- წარმოადგინოს მიმდინარე და დაგეგმილი ენერგოპროექტების სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის დეტალური ანალიზი და უზრუნველყოს მათი საჯარო განხილვა მოსახლეობის, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;
- გაასაჯაროს „ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობასთან დაკავშირებული ურთიერთგაგების ხელშეკრულება.


გარდა ამისა მოგიწოდებთ, უზრუნველყოთ:

- საფუძვლიანი გეოლოგიური კვლევების ჩატარება და პროექტთან დაკავშირებული რისკების ანალიზი დამოუკიდებელი ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;

- პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა და პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება;
- პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების ინფორმირება და მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

პატივისცემით,

პაატა ბურჭულაძე



„პაატა ბურჭულაძე -  
სახელმწიფო ხალხისთვის“ თავმჯდომარე